საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW MARKET SURVEILLANCE AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: 1483
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: 1483

KARR0151549850221

№ **01/384** **07 / ოქტომბერი / 2021 წ.**

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის პროგრამის
კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

სააგენტოში შემოსულია თქვენი 2021 წლის 5 ოქტომბრის N 3-758 წერილი, რომლითაც ითხოვთ მოგაწოდოთ ინფორმაცია სააგენტოს მიერ შემოწმებული პროდუქციისა და ბიზნესოპერატორების შესახებ.

გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ გათვალისწინებულ იქნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციები. შესაბამისად, შემცირდა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების მოქმედების სფეროში არსებული პროდუქციის შემოწმების სიხშირე ადგილობრივ ბაზარზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ სააგენტო ახორციელებს საბაჟოზე იმპორტით შემოსული პროდუქტების დოკუმენტურ ზედამხედველობას.

2021 წლის 1 ივლისიდან, მას შემდეგ რაც "სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის აღსრულებითი ნაწილი ძალაში შევიდა და სავალდებულო გახდა რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილება, ხორციელდება საბაჟოზე იმპორტით შემოსული სათამაშოების დოკუმენტური ზედამხედველობა. 2021 წლის III კვარტალში შემოწმდა იმპორტით შემოსული 1553 დასახელების სათამაშო, საიდანაც 49.5%-მა ვერ დააკმაყოფილა ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები და არ მოხდა მათი დაშვება საქართველოს ბაზარზე განსათავსებლად. დამატებით სარეკომენდაციო შემოწმებები განხორციელდა 6 ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებულ 11 აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობაზე (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართ N1-ში).

რაც შეეხება ინდუსტრიულ და სამშენებლო პროდუქტებს, 2021 წლის III კვარტალში სააგენტოს ინდუსტრიულ და სამშენებლო პროდუქტებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ატვირთული იმპორტის წინასწარი შეტყობინების შესახებ განცხადებების განხილვა, კერძოდ, განხილულ იქნა 2007 განცხადება სამშენებლო პროდუქტების იმპორტის შესახებ (ცემენტი - 427, არმატურა - 280, პლასტმასის მილი - 838, ელექტრო კაბელი - 290, თაბაშირ-მუყაო -172), საიდანაც დადებითი პასუხი გაეცა 1702 განცხადებას, ხოლო უარყოფითი - 305-ს. სააგენტოს მიერ ასევე განხორციელდა ადგილობრივ ბაზარზე განთავსებულ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები. (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართ N2-ში).

დანართი:

1. სამომხმარებლო პროდუქტებზე განხორციელებული ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები - 2 ფურცელი;

2. ინდუსტრიულ და სამშენებლო პროდუქტებზე განხორციელებული ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები - 1 ფურცელი.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ელენე კუტალაძე